

# ხობის მოამბე

№5 (7100) 25 მაისი,
პარასკევი, 2018 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო



## გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს!




1918 წლის 26 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

26 მაისის დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადებიდან 73 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის დღე, ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა.



### ვულოცავ საქართველოს ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს–26 მაისს.

ეს დღე გამორჩეულად წარმოადგენს ქართველი ხალხის თავისუფლების სიმბოლოს, მაღალგანვითარებული, ძალადობისგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში. საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნებისთვის თითოეული მებრძოლი გმირი წინაპრის წინაშე ქედს ვიხრი და მადლობას გადავუხდი მათ.

დღეს, უფრო მეტად უნდა შევძლოთ ქვეყნის უკეთესი მომავალის შექმნაზე ზრუნვა. უნდა მოვახერხოთ ძალადობისგან თავისუფალი, ეკონომიკურად ძლიერი, უსაფრთხო რეგიონის ჩამოყალიბება, რომელიც ქვეყნის სიძლიერის საწინდარია.

გილოცავთ 100 წლის იუბილეს! დე, მარადჟამს ყოფილიყოს საქართველო ძლიერი, დამოუკიდებელი, განვითარებული და თავისუფალი სახელმწიფო.

*ირაკლი (დაჩი) ბერაია,*
*საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი.*




ჩვენო ხობელებო! ძვირფასო თანამემამულენო!

ხობის პირველი მაისის საეკლესიო კომპლექსისა და საპატრიარქო რეზიდენციის კურთხევიდან ხუთი წლისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

სადღესასწაულო მსახურებები გაიმართება:

საღმრთო ლიტურგია–00:00 სთ (27 მაისიდან ღამისთევით), რომელსაც მეუფე გრიგოლთან ერთად მსოფლიოს მართლმადიდებლური ქვეყნების დელეგაციის წარმომადგენლები აღავლენენ.

სამადლობელი ლოცვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი 12:00 სთ (28 მაისი)

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მეოხი.



# გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს!



### ძვირფასო ხობელებო!

გილოცავთ დიდ ეროვნულ და ისტორიულ დღესასწაულს–საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

2018 წელი არის საიუბილეო წელი, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წელი სრულდება. ეს არის თითოეული ჩვენგანისთვის უმნიშვნელოვანესი იუბილე და საზეიმო თარიღი.

ჩვენი წინაპრების სიმტკიცემ, ტოლერანტობამ და თავგანწირვამ დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე სამშობლო შეგვინარჩუნა. იმ უმთავრეს ღირებულებას, რასაც დამოუკიდებლობა ჰქვია გაფრთხილება და ზრუნვა სჭირდება.

საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო იყოს ძლიერი, მტკიცე და ერთიანი; ჩვენი ქვეყნის ყოველმა მოქალაქემ თავი იგრძნოს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს სრულფასოვან მოქალაქედ.

ხობის მუნიციპალიტეტი ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს კულტურულ-გასართობი და სპორტული ღონისძიებებით ხვდება. მობრძანდით და ერთად ვიზეიმოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, როცა აღსრულდა ჩვენი წინაპრების ოცნება–საქართველო შეუერთდა სუვერენული სახელმწიფოების დიდ ოჯახს.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

**გოჩა ქაჯაია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის მერი.**



### ძვირფასო ხობელებო, თანამოქალაქენო!

გილოცავთ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს–საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

26 მაისი არის ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორიული წარსულის, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სახელოვანი წინაპრებისა და „ყოველთა ქართველთა“ სანუკვარი ოცნებისა და გამარჯვების სიმბოლო. სწორედ დამოუკიდებლობის ამ აქტის საფუძველზე მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს. დღესაც უდიდესი გამოწვევების წინაშეა ჩვენი ქვეყანა... ჩვენს თაობას წილად ხვდა, საქართველოსთვის უმძიმეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, დაიცვას სახელმწიფოს სუვერენიტეტი და აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა, ყოველი ჩვენთაგანის ვალია გავუფრთხილდეთ წინაპართა მონაპოვრებს, გავაგრძელოთ და ბოლომდის მივიყვანოთ ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიული მემკვიდრეობის–ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რათა დავუმკვიდროთ ჩვენს სამშობლოს და მომავალ თაობას ღირსეული ადგილი ცივილიზებულ და თავისუფალ სამყაროში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ეროვნული გმირის, ერის სინდისად აღიარებული მერაბ კოსტავას დაბადების დღე, რომელიც ასევე სიმბოლურად და განგების ნებით ემთხვევა ამ თარიღს... შევეხმიანოთ მის ზეციურ ხმას „ჩვენთან არს ღმერთი“–არს და იქნება!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

***ელიზერ ჯობავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.***

## შეხვედრა საქართველოს პარლამენტში



საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ირაკლი (დაჩი) ბერაია ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სასახლეში ხობის მუნიციპალიტეტის წარჩინებულ მოსწავლეებს და პედაგოგ-მასწავლებლებს შეხვდა.

მაჟორიტარმა დეპუტატმა შეხვედრაზე უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე, სამოქალაქო პროცესებში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობაზე, ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა და მოსწავლეებს სკოლის წარჩინებით დამთავრება მიულოცა.



შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართა.

მოსწავლეებმა დეპუტატთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.



## დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასშეწირული ხობელი გმირი

ქართული არმიის ოფიცერი ივანე (ლოლი) ლავრენტის ძე იოსავა დაიბადა სოფელ ბიაში, მღვდელ ლავრენტი იოსავას ოჯახში. იგი მონაწილეობდა 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ჯარის მიერ წარმოებულ ყველა სამხედრო ოპერაციაში. ის ყოფილა განათლებული და ერუდირებული პიროვნება, რასაც ადასტურებს მის მიერ იმ წლებში, საქართველოში გამომავალ სამხედრო მიმართულების ჟურნალებში მისი ავტორობით გამოქვეყნებული წერილები.

მისი მამა მღვდელი ლავრენტი იოსავა მსახურობდა ნოჯიხევის წმ. მთავარანგელოზების ეკლესიაში, 1924 წელს აქტიურად ედგა მხარში აჯანყებულ ხობელებს, აჯანყების დამარცხების შემდგომ მამა ლავრენტი დაიჭირეს, ბაზარში სკამზე დააბეს და ძალით გაკრიჭეს...

ივანე (ლოლი) ლავრენტის ძე იოსავა 1921 წლის თებერვალში წითელ ოკუპანტებთან ბრძოლაში დაიღუპა კოჯორთან. დაკრძალულია თბილისში სამხედრო ეკლესიის ეზოში. ეს ტაძარი შემდგომ ბოლშევიკებმა დაანგრიეს და ტაძრისა და სამშობლოსთვის თავდადებული გმირების საფლავებზე დღევანდელი ე.წ. მთავრობის სასახლე დაადგეს.

2015 წლამდე ამ გმირის სახელი უცნობი იყო. წიგნზე „ხობი, წარსულის ფურცლები“ მუშაობისას 1921 წლის გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ ვიპოვეთ ნეკროლოგები ი. იოსავას შესახებ და ზემოთ დასახელებულ წიგნში გამოვაქვეყნეთ.

სამარადისო დიდება სამშობლოსათვის შეწირულ გმირს ივანე (ლოლი) იოსავას!

ღმერთმა აცხონოს ივანე (ლოლი) იოსავა!



ღრმად დამწუხრებულნი: მარიამ მოსეს ასული, მარიამ და ქეთინა ლავრენტის ასულნი აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, ხოლო დანარჩენნი ძვირფასი ძმის

ვანიჩქა (ივანე) ლავრენტის ძე იოსავას

კომუნისტებთან ბრძოლის ველზე დაღუპვას, რომლის სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება პანაშვიდი კვირას, მარტის 20 შუადღის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში ძმათა სასაფლაოზე



ღრმად დამწუხრებული მამა მღვდელი ლავრენტი ივანეს ძე იოსავა, დედა ქრისტინე პეპუ ზუხბაიას ასული დები: მარიამ აგრაფინა, ნინო ალექსანდრა და ძმა კოლია აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი და საყვარელი

ლოლის (ვანიჩქა) იოსავას

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი სამხედრო ტაძრის გალავანში ძმათა სასაფლაოზე კვირას, აპრილის 3 დღის 12 საათზე. 705

**P.S.** **როგორც წინამდებარე განცხადებიდანაა ცნობილი მისი მამა ლავრენტი ივანეს ძე იოსავა მღვდელი ყოფილა, დედა ქისტინე პეპუს ასული ზუხბაია, დები აგრაფინა, ნინო და ალექსანდრა, ძმა კი კოლია იოსავა.**

**მოგვიანებით კი მეორე განცხადებაში მეუღლე მარიამ მოსეს ასულია მოხსენიებული, მაგრამ სამწუხაროდ, მას არ დარჩენია პირდაპირი შთამომავალი. ამდენად მისი ფოტოსურათის მოძიება დღემდე ვერ მოხერხდა.**

**გოგიტა ჩიტაია.**

## ამონარიდები ბიძინა ივანიშვილის სიტყვიდან



**ხელშესახები პროგრესი გვაქვს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზირების კუთხით,**–განაცხადა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას. მისივე თქმით, წარმატებით დასრულდა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი.

**„წარმატებით დავასრულეთ საკონსტიტუციო რეფორმის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი და იმ კონსტიტუციის ნაცვლად, რომელიც ფორმალურად ამართლებდა ერთი ადამიანის მარადიულ მმართველობას, მივიღეთ ხალხის მმართველობაზე ორიენტირებული ევროპული სტანდარტის ძირითადი კანონი. ეს კონსტიტუცია საქართველოს შეუქცევადი დემოკრატიული პროგრესის საყრდენი და წინაპირობაა“.**

* * *

**საქართველოში დღეს სრულად დაცული და ხელშეუხებელია ერთ-ერთი მთავარი სოციალური ინსტიტუტი, ადამიანის თავისუფალი განვითარების ძირითადი საფუძველი–კერძო საკუთრება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ფეხქვეშ გათელილი და განადგურებული იყო.**

ბიძინა ივანიშვილმა ეკონომიკური მაჩვენებლები მიმოიხილა და აღნიშნა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ შარშან საქართველოს ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

**„ბოლო ხუთი წლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, საქართველო ლიდერობს რეგიონში, ხოლო სავალუტო ფონდის ბოლო განახლებული მონაცემებით, მომავალი ექვსწლიანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, საქართველო ლიდერია არათუ რეგიონში, არამედ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორისაც“...**

* * *

**–„ჩვენ ერთიანი ევროპული ოჯახის ასოცირებული წევრები ვართ და ეს ფაქტი უკვე იურიდიულადაც დადასტურებულია. ამოქმედებულია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის და უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, რომლითაც უამრავმა ადამიანმა ისარგებლა.**

**საგრძნობლად განმტკიცდა და გაღრმავდა ურთიერთობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან ამერიკის შეერთებულ შტატებთან...**

**–ჩვენ ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, შესაძლებელი გახდება ურთიერთმოსმენისა და დიალოგის რეჟიმზე გადასვლა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანების ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევის პერსპექტივებს შექმნის.**

## „ქართული ოცნების“ მეხუთე, რიგგარეშე ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ ბიძინა ივანიშვილი აირჩიეს.

# ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენ დღეს მხოლოდ გამარჯვების უფლება გვაქვს!“

* * *

ვინც ახლოს მიცნობს, კარგად იცის, რომ ეს ჩემთვის საკმაოდ რთული გადაწყვეტილება არც ხელისუფლების, არც „ქართული ოცნების“ და მით უმეტეს, არც ჩემი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არ მიმიღია. ისევე, როგორც 2012 წელს, მიზანი ახლაც უცვლელია, საქართველოს, საქართველოს ხალხისა და თითოეული ოჯახის კეთილდღეობა და ღირსეული მომავალი.

* * *

რატომ ვბრუნდები პოლიტიკაში, მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინ საჯაროდ განვაცხადე, რომ ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მივიღებდი, რატომ გადავწყვიტე ახლა, კვლავ ჩავუდგე სათავეში იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც 2012 წელს დავაფუძნე და ჩემს ხალხთან ერთად შევასრულე ჩემს ცხოვრებაში ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მისია, დავამარცხე და დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მართვას საბოლოოდ ჩამოვაშორე მოძალადე და ხალხის მჩაგვრელი ხელისუფლება.

**პირველი** მიზეზია ობიექტურად არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ ისედაც რთული ვითარების კიდევ უფრო მძაფრ, ხელოვნურად დამძიმებულ ფერებში წარმოჩენის განუწყვეტელი მცდელობები.

**მეორე,** ოპონენტების უმრავლესობისგან მომდინარე უკიდურესად დესტრუქციული მუხტი და ბოლოს,

**მესამე,** ხელისუფლების შიგნით არსებული, მართალია, სუსტი, მაგრამ სრულიად არასაჭირო, უსაფუძვლო და ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი გაუგებრობები.

* * *

**–დღეს საქართველოს მოქალაქეები რეალურად თავისუფლები და სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი თვითნებობისაგან დაცული არიან. შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწორედ ეს იყო ჩვენი ხალხის ერთ-ერთი მთავარი ეროვნული ამოცანა. ისინი დემოკრატიული გზით ირჩევენ დღეს ხელისუფლებას და თავადვე ანიჭებენ მას სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას, დღეს ჩვენ გვყავს არა არჩევნების გაყალბებით, დაშინებითა და ძალადობით მოსული, არამედ ხალხის ნდობის საფუძველზე შერჩეული, ცხადია, არა უნაკლო, მაგრამ, რაც მთავარია, ადამიანზე, როგორც მთავარ ღირებულებაზე ორიენტირებული ხელისუფლება. ამის თვალსაჩინო მაგალითს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საყოველთაო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს...**

* * *

**ქვეყნის** წინაშე არსებული მრავალი გამოწვევის ფონზე, ხელისუფლების შიგნით დაიწყო გარკვეული დაპირისპირება, რაც გასცდა პოლიტიკური გუნდისთვის მისაღებ დემოკრატიულობისა და აზრთა სხვადასხვაობის საზღვრებს და სწორედ ეს არის მესამე მიზეზი, რის გამოც მე პოლიტიკაში ვბრუნდები.

**„მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ფუჭ კინკლაობაში, თუნდაც უმნიშვნელო დრო, ენერგია და რესურსი დავხარჯოთ. დაუშვებელია, პირადი უთანხმოებისა და წყენის გამო, საერთო პარტიული და მით უმეტეს ეროვნული ამოცანების შესრულებისთვის თუნდაც მცირე დაბრკოლების შექმნა.**

**მე ვიგრძენი, რომ ჩემს მიერ შექმნილი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, რომლის იდეოლოგიური მდგრადობა მის სახალხოობაშია, ამ პროცესების გაღრმავების შემთხვევაში დაშორდებოდა ხალხს. ამიტომ გადავწყვიტე დაბრუნება, დიახ, მეორედ შემოსვლა საჯარო პოლიტიკაში“.** საქართველო ისტორიული გარდატეხის მომენტში იმყოფება და ახლა უიმედობის დრო არ არის. **ჩვენ დღეს მხოლოდ გამარჯვების უფლება გვაქვს**.

**დიახ**, მომიწია იმ თანამიმდევრობის დარღვევა, რომლის შესახებაც პოლიტიკაში შემოსვლისთანავე განვაცხადე, მაგრამ როცა შენს ხალხზე, ქვეყანაზეა ლაპარაკი და ვითარება გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვს, გაჯიუტება საკუთარ თავთან არასწორია... საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში განიცადა დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია.

* * *

დღეს არ ვაპირებ ხელისუფლების საქმიანობასა და მოღვაწეობაზე ვრცელი და დეტალური ანგარიში წარმოვადგინო, მით უმეტეს, რომ ეს არ არის ჩემი პრეროგატივა, მაგრამ თავს ვალდებულად მივიჩნევ, რომ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით და სიამაყითაც კი, ხაზი გავუსვა იმ ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ გამარჯვებებს, რასაც ხელისუფლებამ ისტორიულად ძალზე მოკლე დროში, არასრულ ექვს წელიწადში მიაღწია.

პირადად ჩემთვის და დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რომელიც ქვეყანამ განიცადა ბოლო წლების განმავლობაში.

* * *

**„მეორე პრობლემა, რამაც დღევანდელი გადაწყვეტილების მიღებისკენ მიბიძგა, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ოპოზიციის დეფიციტია. ჩვენი ოპონენტების ულირსი ნაწილი ხელისუფლებასთან არგუმენტირებული მეტოქეობის, გონივრული, უკეთესი ალტერნატივების შეთავაზების და დასაბუთებული კრიტიკის ნაცვლად, შეპყრობილია მხოლოდ ანტიდემოკრატიული რევანშის წყურვილით, ისინი ერთმანეთს ქვეყანაში უპერსპექტივობისა და უიმედობის ატმოსფეროს დანერგვაში ეჯიბრებიან, რადგან ვერ ხედავენ დემოკრატიული პროცედურებით ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივას.–ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან არა უკეთესი პროგრამების წარმოდგენაში, არამედ ქვეყანაში უპერსპექტივობისა და უიმედობის ატმოსფეროს დანერგვაში, რადგან კარგად იციან, რომ მხოლოდ ეროვნული პესიმიზმია მათი ის ერთადერთი პლაცდარმი, რომლიდანაც შეძლებენ ქართულ დემოკრატიაზე შურისძიებას. ხალხის ნდობის არქონის გამო, ისინი ვერ ხედავენ დემოკრატიული პროცედურებით ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივას და ამიტომაც ცდილობენ ისეთი განწყობის შექმნას, როდესაც არეულობა სიტუაციის შეცვლის ერთადერთ გზად უნდა მოეჩვენოს ხალხს“.**

* * *

„ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ სწორედ ამ და ქვეყნის წინაშე არსებული სხვა მრავალი გამოწვევის ფონზე, ხელისუფლების შიგნით დაიწყო გარკვეული დაპირისპირება, რაც გასცდა პოლიტიკური გუნდისთვის მისაღებ დემოკრატიულობისა და აზრთა სხვადასხვაობის საზღვრებს და სწორედ ეს არის მესამე მიზეზი, რის გამოც მე პოლიტიკაში ვბრუნდები“.

* * *

**–ზედმიწევნით კარგად ვიცი, რა სირთულეების წინაშეა დღეს რიგითი მოქალაქე. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ვერ დავაღწიეთ თავი იმ ეკონომიკურ სიდუხჭირეს, რომელშიც დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე განვითარებული, მათ შორის, სისხლიანი კატაკლიზმების შედეგად აღმოვჩნდით.** ჯერ კიდევ არ გვქონდა მოშუშებული სამოქალაქო ომის იარები, როდესაც ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში ჩავებით, რასაც შედეგად რუსული ოკუპაცია და მასობრივი დევნილების ორი ტალღა მოჰყვა. სწორედაც რომ თანამედროვე სახელმწიფო მართვის ტრადიციის არქონის კვალდაკვალ დაწყებულმა ქაოსმა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია ქვეყანაში და სიღარიბე მასობრივ მოვლენად აქცია. დღემდე მწვავეა უმუშევრობის, ხოლო დასაქმებულთათვის არასაკმარისი ხელფასის, აგრეთვე პენსიების პრობლემა, სამწუხაროდ, ძვირდება ცხოვრება...

„მედიის თავისუფლების ხარისხის მკვეთრმა ზრდამ, რაც ჩვენი ხალხის განსაკუთრებული მონაპოვარი და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ არსებული ხელისუფლების დამსახურებაა, უამრავ სიკეთესთან ერთად, განაპირობა სიცრუისა და პროპაგანდის მანქანის ძალიან დიდი **სიმძლავრით ამუშავება.**

**„რიგი პოლიტიკური პარტიების მიერ მართული ტელევიზიები, პოლიტიკოსები და ექსპერტები მიზანდასახულად ნერგავენ უიმედობის ატმოსფეროს და ცდილობენ, დააჯერონ ხალხი, რომ მთავრობა თითქოს არაფერს აკეთებს, რომ ქვეყანა ინგრევა, ლამის აპოკალიფსი მოახლოვდა და ყოველივე ეს არის ამ ხელისუფლების საქმიანობის შედეგი, რომელიც თითქოს არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, შეჭირვებული და სიდუხჭირით დაღლილი ადამიანები ოსტატურად შეფუთულ ტყუილებს ადვილად იჯერებენ“.** მისივე თქმით, საქართველოში დღეს ადამიანთა ცნობიერებაზე არნახული საინფორმაციო იერიში მიმდინარეობს.

# საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა 100 წლისაა

## ისტორიული გარდუვალობით...

დადასტურებული ფაქტია, რომ 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, რომელმაც არსებობა სამ წლისთავზე, რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა. დამოუკიდებლობის აღდგენა ჩვენმა ქვეყანამ 73 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე შეძლო.

ჩემი ღრმა რწმენით, მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულ ეროვნულ მოძრაობაზე მეტად საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის იმპერიის კრიზისმა მიიყვანა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ დაამხო რომანოვების დინასტია და იმპერიის შემადგენლობაში მყოფ დაპყრობილ ერებს მიეცათ საშუალება თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. თუმცა ჩვენი პოლიტიკური ელიტა, არც ფსიქოლოგიურად და არც მორალურად ამისთვის მზად არ გახლდათ. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც გავეშებით ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძესა და მის ეროვნულ იდეას, იმდენად ჭრელი შემადგენლობით გამოირჩეოდნენ, რომ უმეტესობას ვერ წარმოედგინა რუსეთის გარეშე არსებობა და დამოუკიდებლად ყოფნა აბსოლუტურ ბუტაფორიად ესახებოდათ. ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი არსებობს. მოდით, ერთი ყველასათვის ცნობილი ფაქტი გავიხსენოთ: საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს–აკაკი ჩხენკელს, იმისთვის, რომ ეროვნული საბჭო ამ უდიდესი აქტის შესრულებაზე დაეყოლიებინა, უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა. გერმანიაში მყოფი ჩხენკელი, დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდა ბერლინიდან და სთხოვდა თანამებრძოლებს დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. სოციალ-დემოკრატმა, გამოკვეთილმა მემარცხენე–ირაკლი წერეთელმა ისტერიკები მოაწყო, რას შვრებით, ღუპავთ რუსულ დემოკრატიასო,–და დაუპირისპირდა ამ აზრს. არც ნოე ჟორდანია აქტიურობდა თავდაპირველად, მაგრამ შემდგომ ისევ აკაკი ჩხენკელისა და ნოე რამიშვილის აქტიურობით სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს დამოუკიდებლობის აქტი.

1920 წლის 7 მაისამდე, მანამ, სანამ რუსეთი არ აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებდნენ იურიდიულად დამოუკიდებლობის აღიარებისგან. მერე კი სიტუაცია შეიცვალა და ევროპის თითქმის ყველა წამყვანმა ქვეყანამ ცნო. რაც შეეხება დამოუკიდებლობის დაკარგვას, ეს დამსახურება გახლდათ დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა. დასავლეთ ევროპამ, ანუ ანტანტის ქვეყნებმა არ დაუშვეს რუსეთის აგრესია ბალტიისპირეთის ქვეყნებზე და სანაცვლოდ დაუთმეს სამხრეთ კავკასია.

საბჭოთა რუსეთმა თბილისი 1921 წლის 25 თებერვალს დაიკავა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ჯერ თბილისი, მოგვიანებით კი საქართველოს ტერიტორია დატოვა, ანუ იძულებით წავიდა ემიგრაციაში. აქედან გამომდინარე, მას ძალაუფლება არ გადაუცია სხვა ძალისთვის, არამედ ბოლშევიკები შემოიჭრნენ ძალით და ოკუპაციის შედეგად დაეუფლნენ ძალაუფლებას.

***73 წლიანი ტყვეობის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, ქართველი ხალხის მიერ დიდი უმრავლესობით არჩეულმა ეროვნულმა მთავრობამ 1991 წლის 9 აპრილს, 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე, აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.*** ჩვენდა სამწუხაროდ, მიუხედავად ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტისა, დამოუკიდებლობის დღედ აღიარებულია 26 მაისი, რაც, როგორც ქართული ხალხის ნების, ასევე კონსტიტუციის მოცემულობის უგულებელყოფაა.

26 მაისი უმნიშვნელოვანესი თარიღია, მაგრამ ისტორიული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ***საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ უნდა გამოცხადდეს 9 აპრილი.***

26 მაისი–ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეა!

გილოცავთ!

**ლაშა გვასალია,**
**მწერალი.**




წელს ქართველი ხალხი აღნიშნავს უაღრესად მნიშვნელოვან თარიღს–სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 100 წლის იუბილეს. 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს „ეროვნულმა საბჭომ“ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი–**„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.**

117 წლიანი რუსული მმართველობის შემდეგ ქართველმა ხალხმა ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და ეპოქის შესაბამისი რესპუბლიკის შექმნას შეუდგა.

ბოლშევიკთა ლიდერმა, ვლადიმერ ლენინმა, გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ბრესტ-ლიტოვსკში სეპარატიული ზავი დადო, რითაც საბჭოთა წყობილებას გადარჩენის შანსი მისცა.

1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების შემდეგ, თურქეთმა მიიღო ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები.

...არ არსებობდა თურქეთის შემაკავებელი არანაირი ძალა. რუსეთი თავისი პრობლემებით იყო დაკავებული. 15–21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი, თითქმის ბორჯომამდე მიაღწიეს. თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.

## თარიღი, რომელმაც ახალ ეპოქას დაუდო სათავე

**მოკლე ქრონოლოგია:**

1801 წელს ალექსანდრე პირველმა გამოსცა მანიფესტი, რომლის თანახმადაც, რუსეთის იმპერატორმა დასუსტებული ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოაცხადა. ყველა ბაგრატიონი, ვისაც კი შეიძლებოდა ტახტზე პრეტენზია ჰქონოდა, რუსეთში წაიყვანეს და მცირე ქონება მიანიჭეს, სანაცვლოდ კი სამუდამოდ ჩამოართვეს ტახტი და სამეფო გვარი.

შედეგად, საქართველო 117 წლის განმავლობაში რუსეთის სამეფოს ნაწილი იყო. ამ პერიოდში, ცარისტულმა რეჟიმმა არაერთი ეროვნული აჯანყება ჩაახშო და აჯანყებულები სასტიკად დასაჯა. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა.

...1917 წლის თებერვალ- მარტის რევოლუციის შედეგად დაიწყო რუსეთის იმპერიის ნგრევა. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმპერიაში მცხოვრები ერების ეროვნული თავისუფლებისთვის.

...1917 წლის აპრილში ჩამოყალიბდა „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). საბჭო იყო პირველი პოლიტიკური გაერთიანება, სადაც ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და საჯაროდ დაიწყეს მსჯელობა საქართველოს ბედზე. რასაც 1917 წლის 19 ნოემბერს მოწვეული ყრილობის მიერ ჟორდანიას თავმჯდომარეობით „ეროვნული საბჭოს“ არჩევა მოჰყვა.

რუსეთში მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის პირობებში ...ბათუმში თურქეთთან მოლაპარაკებებს აკაკი ჩხენკელი აწარმოებდა, მან დაარწმუნა ეროვნული საბჭო, რომ თურქეთის აგრესიისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. 1918 წლის 22 მაისს ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი წერდა: **„ურისკოდ არაფერი არ კეთდება, სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა“.**

1918 წლის 26 მაისს, 3 საათზე, სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დღის 4 საათსა და 50 წუთზე გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. ეროვნულ საბჭოს ნოე ჟორდანიამ გააცნო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომლის თანახმად, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი მმართველი ორგანო: ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე: **კარლო ჩხეიძე,** მთავრობის თავმჯდომარე ჯერ **ნოე რამიშვილი,** შემდეგ **ნოე ჟორდანია**, მთავრობის წევრები: **აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ გიორგაძე, გიორგი ჟურული, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, შალვა მესხიშვილი, ივანე ლორთქიფანიძე.**

იყო ეს ფაქტი კანონზომიერი პროცესი, თუ შექმნილმა გარემო პირობებმა განაპირობა? ხშირად სვამენ ამ კითხვას.... იმ ეპოქის ცნობილი პოლიტიკოსის ზურაბ ავალიშვილის თქმით: ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი. როგორ არ ყურადგველო იმათი ხმა, ვინც დიდიხანია აღარ არის ...აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა“...

„ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოს ხელისუფლება არაფერს იშურებდა, რომ აეშენებინა ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფო, მისი დამოუკიდებლობა ცნეს ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა.. თუმცა მისი არსებობა შეწყდა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ.

მიუხედავად ყველაფრისა, ამ მოვლენამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია–ქართველმა ხალხმა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, ხალხმა იგრძნო თავისუფლების გემო, დამოუკიდებლობის წლებმა მოგვცა პირველი ქართული კონსტიტუცია, შემდგომში ქვეყანამ გაითვალისწინა მაშინ დაშვებული შეცდომები და ამ მოვლენის ღირსეული გაგრძელება იყო 9 აპრილი, რომელმაც გამოგვაღვიძა, დაგვაფიქრა მთავარ ღირებულებებზე და იმედია, საბოლოოდ მოგვაპოვებინა თავისუფლება.

რომ არა 9 აპრილი, ალბათ, ვერც ამ თარიღის აღნიშვნას მოვახერხებდით ასეთი გრანდიოზულობით, საბჭოთა პერიოდში ეს თარიღი ხომ ტაბუდადებულად ითვლებოდა.

ჩვენ გვჭირდება თავისუფლება. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია აზროვნება და რაიმე ღირებულის შექმნა... ამ ფასეულობის რეალურად არსებობა არის გზა ევროპისკენ, გზა ხსნისა, რომელიც არ არის ია-ვარდით მოფენილი, ჩვენს თაობას ძალიან დიდი მისია დააკისრა ისტორიამ, XX და XXI საუკუნისა და მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე საფუძველი ეყრება ახალ საქართველოს.

ქვეყანას ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ შექმნას ისეთი დემოკრატიული, თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო, რომლითაც იამაყებს შთამომავლობა. ამ რწმენით აღვსილნი ვხვდებით დიდ ისტორიულ და ეროვნულ დღესასწაულს–26 მაისს.

***მედეა ვარდია,***
***ხობის №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.***

**ხობის ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმში ჩატარებული ღონისძიება მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პროექტის „ღამე მუზეუმში“ ერთგვარი გამოძახილი იყო.**

**ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, საკრებულოს კულტურის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია ესწრებოდნენ.**

**საღამოს „ღამე მუზეუმში“ განსაკუთრებული ხიბლი შემატა საგანგებოდ შერჩეულმა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის ნაწარმოებების კოლაჟმა. ქალბატონმა ნანა ჯალაღონიამ წაიკითხა მოხსენება „ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორია საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში“.**

**გთავაზობთ ნანა ჯალაღონიას ლექციის შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს მიეძღვნა.**

# ქართული მუსიკალური კულტურა (1918-1921 წლები)

მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების მანძილზე ქართველმა ერმა შექმნა უმდიდრესი ხალხური და პროფესიული, როგორც საერო, ისე სასულიერო მუსიკალური კულტურა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში პროფესიული მუსიკა გვხვდება მხოლოდ არისტროკრატთა მუსიკალურ სალონებში. რომელიც ხელს უწყობდა საზოგადოების გათვითცნობიერებას მუსიკის სფეროში. ფორტეპიანო კი ახალი ჟანრის რომანსის აღმოცენებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მუსიკალური განვითარებისთვის საოპერო თეატრის გახსნას. 1851 წელს ააგეს თეატრის შენობა, რომელიც გაიხსნა ამავე წლის ნოემბერში დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლა მერმურით“. 1860 წელს გაიხსნა ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო საგალობლების აღდგენა-ჩაწერა და გამოცემა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა მომღერალმა ფილიმონ ქორიძემ, რომელმაც განათლება მიიღო იტალიაში. ამავე პერიოდში ასპარეზზე გამოვიდნენ თვალსაჩინო ეროვნული საშემსრულებლო ძალები: პიანისტები, მომღერლები, ინსტრუმენტალისტები, დირიჟორები. ამათგან აღსანიშნავია მელიტონ ბალანჩივაძე, ხარლამპი სავანელი, ფილიმონ ქორიძე, ია კარგალეთელი, ძმები მიზანდარები და სხვები.

ქართველები დღენიადაგ ცდილობდნენ შეეღწიათ ევროპულ სივრცეებში, ამ მხრივ უაღრესად საინტერესო იყო სულხანსაბას მოღვაწეობა, ცნობილია, ქართველთა საზღვარგარეთ მოღვაწეობაც და მიუხედავად სურვილებისა, ბედუკუღმართობამ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ინკორპორაციამ ბევრი რამ უარყოფითად შეცვალა. ქვეყნის ცხოვრებაში დაიკარგა დამოუკიდებლობა, გაუქმდა სამეფო დინასტია, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და ა.შ. რუსული მმართველობის ამ პერიოდში უფუნქციოდ დარჩენილი სამეფო ოჯახის წარმომადგენლები სამეცნიერო-კულტურულ მოღვაწეობას მიეცნენ და შედეგიც მნიშვნელოვანი მიიღეს.



ქართველებმა დიდი ამაგი დადეს რუსეთის იმპერიის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-სახელოვნებო დარგის განვითარებას და რად ღირს ბაგრატოვანთა გვარის გახსენება. მიუხედავად ყველაფრისა, სამწუხაროდ, არასდროს წარსულიდან დღემდე მადლიერნი არ იყვნენ რუსული იმპერიის წარმომადგენლები.

რუსეთის ცარისტული იმპერიის დაშლას საქართველოს ხანმოკლე თავისუფლება მოჰყვა 1918-21 წწ. ამ არასრულ სამ წელიწადში ქართველებმა მოახერხეს უნივერსიტეტის გახსნა, ამიტომაც არის იგი ასე რეზისტენტური პოლიტიკური პროცესების მიმართ და თავისუფალი იდეის რუპორი.

ქართველთა მუსიკალური სააზროვნო სისტემა ოდითგან მრავალხმიანი იყო, წარმართობის ჟამს ჩასახულმა მრავალხმიანმა მუსიკამ ქართულ ქრისტიანულ საგალობლებში მრავალხმიანი ფორმების ჩასახვა-განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია. სრულიად მართებულია მეცნიერთა ვარაუდი, რომ საქართველო არამარტო მართლმადიდებლური, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი ქრისტიანული ქვეყანაა, რომელმაც საეკლესიო მუსიკაში მრავალხმიან გალობას დაუდო საფუძველი.

ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი დიმიტრი არაყიშვილი თითქმის საუკუნის წინ ამბობდა „მეტად ძვირფასი დამამტკიცებელი საბუთი არის მუსიკალური კანონებისა და პრინციპების ერთგულება. ქართველთ ერთხელ შემუშავებული მხატვრული კანონების ერთგულება ახასიათებთ“, რის გამოც ერის მუსიკალური ნიჭიერება საყოველთაოდ არის ცნობილი, რისი გამოხატულებაცაა უნიკალური მუსიკალური ფოლკლორი და მისი მშვენება ხალხური მრავალხმიანობა.

1874 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ხარლამპი სავანელმა დააარსა საგუნდო, სოლო–სიმღერის უფასო კლასი. 1887 წელს ამ სკოლის საფუძველზე ჩამოყალიბდა მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც 1917 წლის 1 მაისს გარდაიქმნა ევროპული ყაიდის უმაღლეს სასწავლებლად მთელს კავკასიაში და შემდგომში კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა.

ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებას ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები „თერგდალეულები“ დიდი ილიასა და აკაკის თაოსნობით. ამ იდეამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა პირველი ქართველი კომპოზიტორების მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, ნიკო სულხანიშვილის და მათი უმცროსი წარმომადგენლის ვიქტორ დოლიძის შემოქმედებაში.

100 წელი ისტორიისთვის ერთი ამოსუნთქვაა, მოკვდავთათვის დრო დიდი და უსასრულო. დრო გვაძლევს საშუალებას გვახსოვდეს ვისი გორისანი ვართ. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთ გვწამდეს ილიას საქართველოსი.

1918-2018 წლები მოვდივართ მამა-პაპათა გაკვალული გზებით, ერი ღვთის ლოცვაკურთხევით, ღვთისა დიდებით, ზოგჯერ იარაღის ჟღარუნით, ზოგჯერ წიგნიერებით, შემოქმედებითი ენერგიით. ამ ისტორიულ დღეს გვაქვს საშუალება გავიხსენოთ გამოჩენილი ერის შვილები, მათი ისტორიული გვარ-სახელები, ლოტბართა კოჰორტა, რამეთუ ჩვენი მუზეუმი არის ის ოაზისი, სადაც მოგვეპოვება ქართული ფოლკლორის კორიფეების შემოქმედების უძვირფასესი ისტორიული მასალები, რისთვისაც უაღრესად დიდი ჯაფა გასწია ბატონმა გოდერძი ბუკიამ და ეს მასალები ლანგრით მოგვართვა ქართველებს.

ძუკუ ლოლუა მეგრული სიმღერის პატრიარქი მარტვილისა და გელათის უკანასკნელი მოჰიკანის დიმიტრი ჭალაგანიძის მოსწავლე, ქართული ხალხური სიმღერის კვლევაძიებით იყო დაკავებული. ასწავლიდა ახალ თაობას ქართული სიმღერის მარგალიტებს. მან არაერთი ლოტბარ-მომღერალი აღზარდა: კიწი გეგეჭკორი, რემა შელეგია, პლატონ ფანცულაია, ვლადიმერ ბაბილუა, ნოკო ხურცია და სხვები.

1917 წლის 26 აგვისტოს ამაღლებული საშემსრულებლო დონით გამორჩეული გუნდი გაფართოებული რეპერტუარით წარსდგა თბილისის საზოგადოების წინაშე. ის ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწისთვის დამახასიათებელი მრავალხმიანობით ხასიათდება. როგორც ლოტბარი მასწავლებელი, დრამატული მსახიობი, ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, მისი წვლილი დიდია ამ სფეროში, მისი შემოქმედება მეგრელ-აფხაზთა მეგობრობის სიმბოლოა.



თუ მოკლედ შევაჯამებთ წარმოდგენილ მასალას, ნათელი ხდება, რომ ქართული სამეცნიერო აზრი საწყისს ათასწლეულების წინ იღებს. ერი ყოველთვის ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. არც თავისი ათეულ საუკუნეებს გამოტარებულ და გენეტიკურ მეხსიერებაში შემონახული მეცნიერული აზრი დაეკარგა.

ცხადია, ჩემს მიერ მოყვანილი მცირე ნარკვევით არ ამოიწურება საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპის დახასიათება. შევეცადე თქვენთან ერთად ერთიანი ხედვით დაგვენახა ეს ხანგრძლივი და რთული ისტორიული გზა. რამეთუ ქართველი არამარტო ხმლით იბრძოდა და იბრძვის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განვითარების გზაზე, ის იბრძვის და შთამომავლობას უტოვებს სამუსიკო სფეროში მიღწეულ ცოდნა-გამოცდილებას, საუკუნეების ქართულ მუსიკას.

ჩვენ ამ დროის მონაკვეთში მოვისმინეთ კოლაჟი ქართული კლასიკური თუ ფოლკლორული ნაწარმოებების ფრაგმენტები, საიდანაც ნათლად ისმის ერისა თუ ბერის მუხტი თავისუფლების სიყვარულისა და სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ. თუ საუკუნის დასაწყისში ერი გამოაფხიზლა „თერგდალეულებთან“ ერთად ილიამ და აკაკიმ, მეოცე საუკუნის ბოლოს კვლავ გაისმა ორი ძმის მერაბისა და ზვიადის მოწოდება თავისუფლებისკენ. მათ დარაზმეს ერი, სახელმწიფოს შეხსნეს ბორკილი.

მოახლოებულია თითოეული ქართველისთვის საყვარელი თარიღი 26 მაისი და ჩვენი ვალდებულებაა პატივი მივაგოთ თავისუფლებისთვის ზვარაკად შეწირულ გმირებს–ჩვენი რაიონის პირველ პრეფექტს **თენგიზ ქაჯაიას** და იმ დროის ახალგაზრდებს. განმათავისუფლებელი ბრძოლის მხედართმთავრებს **მერაბსა და ზვიადს**, მათი ძმობა ინტერესთა თანხვედრა იყო. ისინი ინტენსიურად დაადგნენ თეოლოგიურ შემეცნების გზას მეოცე საუკუნის 60-იან წლებში, ისინი არა მხოლოდ რევოლუციონრები, არამედ მუსიკოსები და პოეტები იყვნენ.

ზვიად გამსახურდიას შეფასებით თავისი ცხოვრებისეული კრედო მერაბ კოსტავამ შემდეგ სტრიქონებში ჩააქსოვა **„წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“.**

ზვიად გამსახურდიას შეფასებით კოსტავას პოეზიაც ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა.

ასევე საქართველოზე უზადოდ შეყვარებული ზვიადი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი იტყვის:

**„დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე, მზე შუაღამის ბარძიმი წმინდა, გვწყალობდეს ვინაც გვიკურთხა ვაზი და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა, ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მჯდომთ კვლავაც ავუნთოთ კვართი და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“.**

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## შეხვედრა ნატოს მუდმივმოქმედი მეორე შენაერთის ხელმძღვანელებთან



ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა ხობის მონასტერში ნატოს მუდმივმოქმედი მეორე შენაერთის კომონდორს, მაიკლ ათლის და ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის შემადგენლობაში შემავალი ხომალდების ხელმძღვანელებს უმასპინძლა. შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია, ფოთის მერი გოჩა კურდღელია და ფოთის ვიცე-მერი გიორგი ფარეშიშვილი ესწრებოდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა ვიზიტის მიზნებზე ისაუბრეს და სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს. მონასტრის ეზოში „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრთან“ არსებული ქართული ხალხური ცეკვის სტუდიების მოსწავლეებმა ქართული ხალხური ცეკვები შეასრულეს. შემდეგ სტუმრებმა ხობის მონასტრის არქიტექტურული კომპლექსი დაათვალიერეს.

## საჯარო განხილვა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა საინიციატივო ჯგუფის განცხადება ქალაქის ცენტრში არსებული დასვენების პარკისთვის ალექსანდრე წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას. 8 მაისს მერიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საკითხის საჯარო განხილვა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა, როგორც საინიციატივო ჯგუფის, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები.

## ხობში გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს



რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საკვიკვინიოს უბანში მიმდინარეობს სამ კილომეტრამდე გზის ცემენტო -ბეტონით მოწყობა. აღნიშნულ მონაკვეთზე აშენდება ხიდ-ბოგირები და მილ-ხიდები მოეწყობა რკინაბეტონის სანიაღვრე არხი. დასაქმდება ადგილობრივი მუშახელი. პროექტს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „პრაიმ ბეტონი“ ახორციელებს.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

ქ.ხობში დავით აღმაშენებლის (I და II ჩიხები), ფიროსმანის ქუჩასა, და ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის საფარის ასფალტობეტონით მოწყობითი სამუშაოები. შპს „შარა–გზამშენი პირველმა“ განახორციელა.

მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბექა მამაცაშვილი, ფრაქცია „სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე კახა ლატარია, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია და საკრებულოს სხვა თანამდებობის პირები.

## საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს ეძღვნება...

10 მაისს სტარტი აიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ ფეხბურთში, შეჯიბრებაში 17 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც კენჭისყრის შედეგად ოთხ ჯგუფში იყვნენ გადანაწილებულნი.

***ხეთის ზონაში*** ასპარეზობდნენ ხეთის, თორსის, ხამისკურის და პირველი მაისის ფეხბურთელთა გუნდები.

***საჯიჯაოს ზონაში*** გამოდიოდნენ საჯიჯაოს, ბიის, ძველი ხიბულისა და ახალი ხიბულის გუნდები.



***შუა ხორგის ზონაში*** ასარეზობდნენ შუა ხორგის, ქარიატის, ჭალადიდის, შავღელეს და პატარა ფოთის გუნდები.

***ხობის ზონაში*** კი საგვიჩიოს, ყულევისა და ნოჯიხევის გუნდები.

ზონებში გამარჯვებულმა გუნდებმა ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს, რომლებიც ასე დაწყვილდნენ.

***ხობი–შუა*** ხორგა, ხეთა–ახალი ხიბულა.

ნახევარფინალური მატჩები 23 მაისს გაიმართა, **ხოლო ფინალური მატჩი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად 26 მაისს ხობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება, შეხვედრა დაიწყება 16 საათზე.**

შეჯიბრების ორგანიზატორები არიან ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს მოყვარულთა ფეხბურთის ასოციაცია და საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“.

მუნიციპალიტეტის პირველობაზე პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ პირველობაზე.

წარმატებები ვუსურვოთ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ პირველობაზე მონაწილე გუნდებს.

## სასკოლო სპორტული ოლიმპიადა



ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური პირველობა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში.

ხობისა და მუნიციპალიტეტის ღირსებას ის საჯარო სკოლები იცავდნენ, რომლებმაც წარმატებები მოიპოვეს მუნიციპალიტეტის შეჯიბრებებში. შეჯიბრებები გაიმართა:

მაგიდის ჩოგბურთში (გოგონები, ვაჟები)

კალათბურთში 3X3-ზე (გოგონები, ვაჟები),

ფრენბურთში–(გოგონები, ვაჟები),

გეზრბენში–(გოგოები, ვაჟები),

მინიფეხბურთში–ვაჟები).

***მხიარული სტარტები***–რეგიონალურ პირველობაზე წარმატებით იასპარეზა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი ძველი ხიბულის საჯარო სკოლის (დირექტორი ზვიად ღვინჯილია, სპორტის მასწავლებელი მოკონა ქვარაია) ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა.

მათ ყველა მეტოქე ადვილად დაამარცხეს და რეგიონის ჩემპიონები გახდნენ.

ასევე ახლოს იყვნენ მიზანთან საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის ჩოგბურთელთა გუნდი. საჯიჯაოელმა გოგონებმა ფინალამდე ყველა მეტოქე დაამარცხეს, თუმცა ფინალში ზუგდიდელებთან დამარცხდნენ და მეორე ადგილი დაიკავეს (სკოლის დირექტორი მაია შუშანია, სპორტის მასწავლებელი ლუღუნი მიქავა). მხიარულ სტარტებში მეორე ადგილი დაიკავა ხობის №1 საჯარო სკოლის გუნდმა, მათ დაძაბულ ბრძოლაში დათმეს შეხვედრა სენაკელებთან სხვა დანარჩენ შეჯიბრებებზე.

ჩვენი მუნიციპალიტეტის წარგზავნილებმა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხეს საპრიზო ადგილების დაკავება.

5-6 მაისს გაიმართა ფრენბურთელ გოგონათა დასალეთ საქართველოს პირველობა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ აჭარის, გურიის, აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმის და სამეგრელოს გუნდები. სამეგრელოს ღირსებას იცავდა რეგიონში გამარჯვებული ძველი ხიბულის საჯარო სკოლა. სამწუხაროდ, ჩვენები დამარხდნენ გურიის წარმომადგენლებთან და გამოეთიშნენ ასპარეზობას. იმედია მომავალში ჩვენი მუნიციპალიტეტის წარგზავნილები წარმატებით იასპარეზებენ სხვადასხვა შეჯიბრებებზე.

**ლევან ლემონჯავა.**

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## კონფერენცია–„გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობაში“



ქალაქ თბილისში, სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“ პირველი ეროვნული კონფერენცია: „გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობაში–გამოწვევები და შესაძლებლობები“ მიმდინარეობდა, რომელშიც, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის თანაშემწე, მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, თამუნა სიჭინავა მონაწილეობდნენ.

ღონისძიების მიზანი იყო, ხელი შეეწყოს ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინირებულ მუშაობას გენდერული თანასწორობის სფეროში და მეორე მხრივ, თვითმმართველობის ორგანოებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ თვითმმართველი ქალაქების და მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, გენდერული თანასწორობის საბჭოების თავმჯდომარეები და მერიებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილმა; ქალაქ თბილისის მერმა და საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა, კახა კალაძემ; საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, მაია ცქიტიშვილმა; პრემიერ-მინისტრის ასისტენტმა ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, სოფო ჯაფარიძემ და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორმა, ლორა თორნტონმა.

2016 წელს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შესული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნა. ამავე საკანონმდებლო ცვლილებით, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს დაევალა, შესაბამის გამგეობაში/მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის განსაზღვრა.

კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, ხოლო მერიაში განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

კონფერენცია ჩატარდა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ინიციატივით, ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტისა (NDI) და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით.

## შუა ხორგაში ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



ხობის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-48) ჭალადიდი-ხორგა-ხობის საავტომობილო გზის მე-5 კილომეტრზე, მდინარე ხობზე სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ხიდის მშენებლობის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი, გოჩა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე, ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 598 765 ლარია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“ ახორციელებს.

ახალი ხიდის სიგრძე 113 მეტრი, ხოლო სიგანე 8 მეტრი იქნება. სამუშაოზე დასაქმებულია 15 მუშახელი.

ხიდი, მეოცე საუკუნის 50-იან წლებში აშენდა; ხოლო, 1993 წელს აფეთქების შედეგად ხიდის გარკვეული ნაწილი დაზიანდა. სარებილიტაციო ობიექტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხიდი ავარიულ მდგომარეობაში იყო და საჭიროებდა სრულ რეაბილიტაციას.

2018 წელს, ჭალადიდი-ხორგა-ხობის საავტომობილო გზის მე-2 კილომეტრზე, მდინარე ყორათზე ახალი ხიდი აშენდა (1 მილიონ 677 ათასი ლარი); ხოლო, ხობი-საჯიჯაოლესიჭინეს საავტომობილო გზის მეთერთმეტე კილომეტრზე მდებარე (მდინარე ხობზე) ხიდის რეაბილიტაცია (679 946 ლარი) მიმდინარეობს.

## საინფორმაციო შეხვედრა და ნატოს კუთხის გახსნა ჭალადიდში



ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის საზოგადოებრივ ცენტრში, „ნატოს დღეები 2018-ის“ ფარგლებში გაიხსნა ნატოს კუთხე. საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისმა საზოგადოებრივ ცენტრს საინფორმაციო ბროშურები გადასცა.

შეხვედრაზე საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესსა და ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობაზე საუბარი შედგა.

ნატოს კუთხის გახსნას და საინფორმაციო შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ სამეგრელოს რეგიონალური ბიუროს წარმომადგენელი ანა ცანავა, საქართველოს პარლამენტის წევრი ხობის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს წევრები და ადგილობრივი მოსახლეობა.

აღნიშნული ღონისძიება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნატოს სამეკავშირეო ოფისთან და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან ინიციატივით განხორციელდა.

## ახალსოფელში ლურჯი მოცვის პლანტაცია შენდება



ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში შპს „აგრო ხარება“ 10 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ლურჯი მოცვის პლანტაციას აშენებს. პროექტი, პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პლანტაცია მოეწყობა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით და დამონტაჟდება თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემა. სამუშაოზე დასაქმებულია 70 ადგილობრივი მუშახელი.

ლურჯი მოცვის პლანტაციის გაშენების პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი, გოჩა ქაჯაია, მერის პირველი მოადგილე, ვარაზ გაბედავა და მერის მოადგილე, მახარე ჩოკორაია გაეცნენ.

პროექტი „დანერგე მომავალი“ ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

თანადაფინანსება ხორციელდება ორი დამოუკიდებელი კომპონენტის ფარგლებში:

ა) მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი

ბ) სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი

ბაღების კომპონენტის ფარგლებში ფინანსური დახმარება ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გასაშენებლად პოტენციური ბენეფიციარებისთვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, როგორც ნერგების შეძენის, ასევე თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით. ფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების არაუმეტეს 70% და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 50%

სანერგეების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისთვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით სანერგე მეურნეობის მოსაწყობად ან არსებული მეურნეობის განსავითარებლად. თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული დასაფინანსებელი ღირებულების არაუმეტეს 50%-ს.

## „სუფთა სოფელი, ლამაზი გარემო“

*„ღმერთო მომეცი მოთმინება, რათა ავიტანო ის, რისი შეცვლა არ შემიძლია. გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რათა განვასხვავო ერთი მეორისგან.“*

*//ვონეგუტი//*

# ერთიანი ძალისხმევით პრობლემები გვარდება

მე ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი თორსა-დღვაბა, ვცხოვრობ სოფელში და საერთოდ არ ვფიქრობ, რომ ცუდია სოფელში ცხოვრება და თუ არ მოგწონს სოფელში გარემო, მაშინ შეცვალე....

სოფელში დავაფუძნეთ არასამთვრობო ორგანიზაცია განათლების და განვითრების ცენტრი „თოლისკური“ (ადრე ვიყავით თორსის ქალთა საინიციატივო ჯგუფი).

2013 წლიდან დღემდე ჩართული ვართ გაეროს ერთობლივ პროგრამა „გენდერული თანასწორობისთვის“ დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი–„ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის“. პროგრამის მთავარი კომპონენტი იყო და არის ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაცია და პროექტების თანადაფინანსება, რომელსაც პირველივე დღიდან წარმატებით ვახორციელებთ და დღითიდღე უფრო ეფექტური ხდება.

ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია სოფელში ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო ხასიათის პროექტების განხორციელება.



ახლა გვაქვს მიმდინარე პროექტი „სუფთა სოფელი, ლამაზი გარემო“, რომელიც ითვალისწინებს სოფლის ცენტრში არსებული აუზის რეაბილიტაციას. პროექტის დონორი; საქართველოს სტარტეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, UNDP, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

ეს ჯერ დასრულებეული არ არის, მაგრამ ძალიან ლამაზი ადგილი იქნება სოფელში.

ახლა გვაქვს მიმდინარე სამი პროექტი, რომელიც ახალგაზარდების ინიციატივით დაიწერა;

✓ **ორბელიანი საქართველომ**–დააფინანსა და ამ ტერიტორიაზე გაშენდება სკვერი.

✓ **WORD VISION საქართველომ**–აქვე მდებარე სტადიონის რეაბილიტაცია დააფინანსა **სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა** (**CDI**)–დააფინანსა სოფლის ცენტრში არსებული მოსაცდელის შელამაზება.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოებს ადგილობრივი მოსახლეობა ახორციელებს მოხალისეობრივად.

• ორგანიზაცია „თოლისკური“ ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელსაც ახორციელებს ა/ორგანიზაცია People In Needd, RCDA, ათინათი, რომლის მიზანია; სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე DCFTA შესახებ ინფორმაციის გავრცელება. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის ბაზაზე დაფუძნდება „რესურს მაგიდა“, რომელის პრეზენტაცია იგეგმება 16 მაისს.

• 2017 წელს ა/ო- მ „თოლისკური“ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის დაფინანსებით გამოცხადებულ იდეების კონკურსში–„სოციალური მეწარმეობა–ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის 2016-2018“. პროექტს ახორციელებენ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი „(SCRDG),“ „ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“(EDEC) და „საქართველოს არბაითერ სამარიტერ ბუნდი“ (ASB)

<u>პროექტი მიმდინარეობდა ოთხ ეტაპად;</u>

**პირველ ეტაპზე** საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა მიიღო 56 აპლიკანტმა.

**მეორე ეტაპზე;** 56 აპლიკანტიდან შერჩეულიიქნა შვიდი ორგანიზაციის პროექტი, რომელთა წარმომადგენლები ერთი თვის განმავლობაში ესწრებოდნენ ტრენინგების ციკლს სოციალურ მეწარმეობაზე.



**მესამე ეტაპზე იყო** საწარმოს ეფექტური ბიზნეს-გეგმის შემუშავება.

**მეოთხე ეტაპი;** საბოლოოდ წარმოდგენილი შვიდი ბიზნეს გეგმიდან შეირჩა და დაფინანსდა სამი პროექტი. (მათ შორის „თოლისკური“-ის პროექტი)

ევროკავშირის მხრიდან ცალკეული პროექტების დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 8 000 ათას ევროს.

ა/ო „თოლისკურის“ შემუშავებული პროექტი „მომავლის სოფელი“ ითვალისწინებს თორსის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ ფართში სოციალური საწარმო „აგროჰობის“ დაფუძნებას, სადაც მოხდება ხილის ჩირის წარმოება.

**საწარმოს სოციალური მიზნები მდგომარეობს შემდეგში;**

• **ადგილობრივი მოსახლეობისგან ხილის შესყიდვა**

საწარმო უპირატესობას მიანიჭებს ადგილობრივი ფერმერებისგან სხვადასხვა ხილის შესყიდვას და ჩირის წარმოებას.

• **მოწყვლადი ჯგუფის წევრების (იძულებით გადაადგილებულ პირთა) დასაქმება.**

საწარმოში დასაქმდება 5 ადამიანი; აქედან 4 ბენეფიციარი იქნება იძულებით გადაადგილებული პირი.

ვინაიდან, საწარმო ფუძნდება ახალგაზრდული ორგანიზაცია განათლების და განვითარების ცენტრი „თოლისკურის“ ბაზაზე და აქვს აღებული ვალდებულება საწარმოს ფინანსური მოგება არ გადანაწილდეს დამფუძნებლებზე, არამედ საწარმოდან მიღებული მოგებით მოგვარდეს თორსის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემები, თანადგომა ექნება ახალგაზრდების ინიციატივებს და ხელი შეეწყობა არაფორმალური განათლების გავრცელებას ოთხ მიმდებარე თემში.

აღნიშნული პროექტის სწორად ჩამოყალიბება არ იყო ადვილი, რადგან მოითხოვდა სპეციფიურ ცოდნას სოფლის მეურნეობის საკითხებში, ამიტომ დახმარებისთვის მივმართეთ ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს (**ხელმძღვანელი ანგული მიქავა**), რომელთა თანადგომით ჩვენმა პროექტმა სრულფასოვანი სახე მიიღო და წარმატებაც მოიპოვა.

დონორიდან საბოლოო დაფინანსების შემდეგ საწარმოს იდეა გავაცანით საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი (დაჩი) ბერაიას და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, რომლებმაც თანადგომა გამოგვიცხადეს და გამოთქვეს მზაობა ჩართულიყვნენ პროექტში თანადაფინანსების სახით.

სხვადასხვა პროექტების ფარგლებში გვქონდა დაფინანსება სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციებისგან: გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი(CSRDG), გაერო (UNDP), ორბელიანი საქართველო, WORLD VISION საქართველო.



ვმუშაობთ სხვადასხვა მიმართულებებით; გარემოს დაცვა, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და გენდერული თანასწორობა, პროფესიული არჩევანი, ადვოკატირების პრინციპები, ლიდერობის ხელოვნება, გუნდურად მუშაობის პრინციპები, ეფექტური კომუნიკაციები, პროექტის წერის ტექნიკა, სურსათის უვნებლობა და ა.შ.

ჩვენი სამოქმედო არეალია თორსა, ხეთა, ხამისქური, პირველი მაისი და ქ.ხობის კერძო სკოლა „არეა“. ვთანამშრომლობთ ყველა ასაკის ადამიანებთან, მაგრამ განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, ავღვნიშნავ, რომ ახალგაზრდები არიან საოცრად მოტივირებული, აქტიური, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ გარემო უკეთესობისკენ. ხშირად ვატარებთ საინტერესო ტრენინგებს, სემინარებს, ვორქშოფებს და ა.შ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმეს ცხადია, ერთი და ორი ადამიანი ვერ გააკეთებს, ჩვენი მთავარი მიმართულება ერთობაა, მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩვენი სოფლის დეპუტატი მზია ლემონჯარია მუდამ ჩვენი პოზიტიური საქმეების ეფექტურ განხორციელებას უწყობს ხელს. მე და მზია საქართველოს წითელი ჯვრის პირველი დახმარების ტრენერები გახლავართ.

თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი ედემი ლატარია ჩვენი მხარდამჭერია.

რომ არა თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთვრობო ორგანიზაციებთან და მათი თანადგომა, დღეს წარმატებული ვერ ვიქნებოდით.

მინდა გულისტკივილი გამოვხატო ჩვენი თანამდგომი და მხარდამჭერი ქალბატონის მედეა ლატარიას გარდაცვალების გამო, მას სოფელი ძალიან უყვარდა და ცოცხალი რომ იყოს, ერთ-ერთი იქნებოდა, ვინც სიხარულით შემოუერთდებოდა ჩვენს საქმიანობებს. სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა მის სულს.

შეიძლება ბევრი რამ გამომრჩეს და ვერ ვთქვა სათქმელი, მაგრამ ძირითადი არის ის, რომ ჯანსაღი ურთიერთობები, პრობლების სწორად აღწერა, არგუმენტირება და ბევრი მუშაობა, ძალისხმევა აუცილებლად სინათლეს მოიტანს.

და ბოლოს ვიტყვი, არ შეიძლება ჩვენს ირგვლივ არსებული პრობლემების მოგვარება ყოველთვის მთავრობას ან სხვას გადავაბრალოთ, ჩვენ დავიწყოთ და დამხმარე ძალა ყოველთვის გამოჩნდება, მთავარია დავიწყოთ.

**გვანცა კიკალეიშვილი**.

# გმირების ცოცხალი მაგალითები...





კაპიტონ ცხადაია და ვალიკო ჭითანავა ომის ვეტერანთა კოჰორტას ათეული წლებია ამშვენებენ...

წელს ბატონი ვალიკო თვალცრემლიანი, ფიზიკური და სულიერი ტკივილებით „მოგზაურობდა“ ტკბილ-მწარე მოგონებებში...

ბატონი კაპიტონი კი ჯილდოებით მკერდდამშვენებული, მხნე და ჯანმრთელი ესტუმრა ხეთაში „ხსოვნის ველს“ და პატივი მიაგო თანამებრძოლთა ხსოვნას.




რედაქციის არქივი ინახავს მათ მოგონებებს, პატრიოტულ, იმედიან წერილებს, რომელიც ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ „სამშობლო ერთადერთია“...

უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ მათ დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეს და ვუსურვებთ დიდხანს იყვნენ მამაცობისა და სამშობლოსთვის თავდადებულთა სიმბოლოდ.

მრავალჟამიერ, მათი სიცოცხლე...

* **

**P.S.დასანანია, რომ ომის ვეტერანთა რიცხვი წლითი-წლობით ასე შემცირდა... დიდება მათ უკვდავ სახელებს.**



## ჭაბუკებად დარჩნენ მარად!

„ჭაბუკები დარჩნენ მარად“,
ეს სიტყვები როგორ მზარავს.
სად იხეთქა სისხლმა ღვარად,
ჰაი ჰარად, ჰაი ჰარად!
რამდენ წყალმა ჩაიარა,
დრო ვერ კუნავს მსგავს იარას,
ურვას, მწუხრს კი გვაზიარა,
ჰაი ჰარად, ჰაი ჰარად!
ტანჯვა, ჯვარცმა არ გვაკმარა,
უფალივით მისდა დარად,
ცოდვა-მადლმა სად იარა,
ჰაი, ჰარად ჰაი ჰარად...
ახავაი, თავო ჩემო,
რა შეგცოდეთ, შენ, გამჩენო!
სადაური სად ჩამკვდარა.
ჰაი ჰარად, ჰაი ჰარად!
ჩვენ დავბერდით ჩვენი ბედით,
თქვენ არ ვიცი, რა გიწოდოთ,
დღესაც დგახართ, როგორც
ძეგლი,
მაგრამ ძეგლი არ ხართ
მხოლოდ.
ვინ დაუსხლტა ბედისწერას,
შეგვახვედრებს, ალბათ, ბოლოს,
სანამ გული შეწყვეტს ძგერას,
ის მარადჟამს თქვენზე
გლოვობს.

**ბადრი ლომაია.**

9 მაისს, ხეთის მხარეთმცოდნეობის და დიდების მუზეუმში, ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა, ტიტებით მოიფინა ძმათა სასაფლაო.

„არავინ და არაფერია დავიწყებული“...

კაპიტონ ცხადაია ის გმირია, რომელიც დიდების მემორიალზე საკუთარი ფეხით მივიდა... ხოლო მეორე ვეტერანი ვალიკო ჭითანავა ღონისძიებას ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო... მათ ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ გოჩა ქაჯაიას, საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ედიშერ ჯობავას და სხვა დამსწრე საზოგადოების მილოცვა და საჩუქრები მიიღეს.



## არავინ და არაფერია დავიწყებული

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა ერთჯერადი ფულადი დახმარება 600 ლარი, ხოლო, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახებმა–300 ლარი მიიღეს.



ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვეტერანებს პირად საბანკო ანგარიშზე 500-500 ლარი, ხოლო შპს „შავი ზღვის ტერმინალისგან“ 100-100 ლარი ჩაერიცხათ.

„ამ ომს არასოდეს დაივიწყებს კაცობრიობა, თქვენ ხართ გმირები. ქედს ვიხრით თქვენს წინაშე. ეს ომი ყველაზე სასტიკი იყო ომების ისტორიაში და ამ ყველაფერმა თქვენს ზურგზე გადაიარა. თუ საქართველო დღეს არსებობს, ეს თქვენი დამსახურებაა. ჩვენ გვინდა მშვიდობა და ეს მშვიდობა თქვენი მოტანილია. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს. დაგლოცოთ უფალმა“–ასე მიმართეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა ვეტერანებს.

ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული (წამყვანი ბატონი ბეჟან ნადარაია). ანსამბლმა „კოლხეთმა“ შეასრულა „გაფრინდი შავო მერცხალო!“ და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ისტორია-მხარეთმცოდნეობის ჯგუფის (სპეციალისტი ნინო გერგაია) მოსწავლეთა მონაწილეობით მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია შესრულდა.



საუკუნეს მიღწეული ვეტერანი, რომელიც ჯანის სიმრთელეს არ უჩივის, ხელისუფლების წარმომადგენლების გულისხმიერებამ და ყურადღებამ განსაკუთრებით გაახარა.

მადლობას ვუხდით დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, რომლებმაც სამშობლოსთვის გასწირეს თავი, დიდება მათ!

**ნაირა ბერაია**

# დიდი სასწაულების მოხდენა ყოველთვის პატარა სასწაულებით იწყება...

მოგზაურობა მუსიკის სამყაროში...

შოპენი, ჩაიკოვსკი, ჩერნი, მოცარტი, ბეთჰოვენი...

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სამუსიკო სკოლის დარბაზი...

სამუსიკო სკოლის მოსწავლის ბარბარე ლოლუას სოლო კონცერტი (კონცერტმაისტერი ნაზი ბერაია).

მოწვეული სტუმრები...

ოვაციები, აპლოდისმენტები.

„პატარა, დინჯი, ლამაზი, დიდრონი თვალებით ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში აზიარა დედამ მუსიკის სიყვარულს. ერთ მშვენიერ დღეს გოგონამ ამაყად შეაღო სამუსიკო სკოლის კარები (პედაგოგი უკვე შერჩეული იყო). მას საკლასო ოთახში ქალბატონი ნაზი ბერაია ელოდა, მხიარულმა, მოსიყვარულე და რაც მთავარია, პროფესიონალმა მუსიკოსმა გოგონა გულში ჩაიკრა და წლებია ერთად მოდიან.





აღსანიშნავია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში მომუშავე პროფესიონალმა პედაგოგებმა განვლილი ათეული წლების მანძილზე არაერთი ნიჭიერი მოსწავლე წარმოაჩინეს და გაუკვალეს გზა დიდი ხელოვნებისკენ. ამაში დიდი წვლილი სამუსიკო სკოლის ყოფილ დირექტორსა და პედაგოგს ქალბატონ ნათელა მარგველაშვილს მიუძღვის, ქალბატონი ნაზიც მისი ყოფილი მოსწავლეა, მას კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. მან ცხოვრების საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო, კიდევ უფრო სასიხარულოა ის ფაქტი, რომ წლების სიმძიმე მის ენერგიაზე გავლენას ვერ ახდენს, ეს „კაფანდარა“ ქალბატონი მხნედ და ენერგიულად აგრძელებს საყვარელ საქმიანობას და საბედნიეროდ, შემართება და ენთუზიაზმი არ ელევა. სწორედ ამის დადასტურება იყო სამუსიკო სკოლაში გამართული პრემიერა-კონცერტი.

ადამიანი ცხოვრობს ან ზოგჯერ მხოლოდ ცოცხლობს, ვტრიალებთ ერთმანეთის, ზოგჯერ საკუთარი თავის ირგვლივ, გვიხარია და ჩვენებურად განვიცდით ყოველივეს, გვაქვს საკუთარი სურვილი და შესაბამისად უნარიც. ვცხოვრობთ, ვიღლებით და ვეძებთ ადგილს დასასვენებელს და გადაღლილი სულების თავშესაფარს. ასეთი ადგილები კი ჩვენთან უნებლიე ქვეცნობიერად აირჩევა და ჩვენც დაუყონებლივ ვისწრაფვით იქით.

გულის ფანცქალით ველოდით დიდი სასწაულების მოხდენას, რომელიც ყოველთვის პატარა სასწაულებით იწყება... პატარა შემოქმედმა წარმატებას მიაღწია. ის წარსდგა, როგორც საფორტეპიანო, ისე საესტრადო სიმღერებით ბენდთან ერთად. მისი შთაგონების წყარო მუსიკაა, ის ხომ ლოტბარ ძუკუ ლოლუას შთამომავალია, მღერის, უკრავს ფორტეპიანოზე, გიტარაზე (გიტარის პედაგოგი, გიტარის დიდოსტატი ლაშა კვიკვინია). მრავალი სხვადასხვა ფესტივალების და კონკურსების მონაწილეა.

ყველა ჩვენთაგანი ხვალინდელ დღეს იმედით შეჰყურებს, ასე არიან ბარბარეს მშობლებიც. დედა ლელა ნანეიშვილი, მამა ზურაბ ლოლუა, თუმცა განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი ლელა ბარბარეს მეგობარი, გულშემატკივარი და ზოგჯერ აკომპანიატორიც არის, კონცერტზე მათ ერთად შეასრულეს გიორგი ცაბაძის „მთვარიანი ღამე და ბრამსის „უნგრული ცეკვა“.



***

როიალთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნორჩი მუსიკოსები, მათი პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ხალხურ საკრავთა წრის მოსწავლეები. კონცერტის ბოლო აკორდი გახლდათ ნაზი ბერაიასა და მისი ყოფილი მოსწავლის, სამუსიკო სკოლის პედაგოგის ჟიული ლატარიას მიერ შესრულებული მოცარტის სიმფონია.

მაყურებელი ფეხზე ადგომით უკრავდა ტაშს.

მოწვეულ სტუმრებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კულტურის, განათლებისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი დოდო გაბუნია და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია ესწრებოდნენ. ქალბატონმა დოდო გაბუნიამ აღფრთოვანება ვერ დამალა და პატარა შემოქმედს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა, წარმატებები უსურვა. პედაგოგ ნაზი ბერაიას და მთელ კოლექტივს მიმართა: იყავით ისეთი ენერგიული და მომხიბვლელი, როგორიც ხართ.

დრო გავა, ეს ბავშვები გაიზრდებიან, თუ რა გზას აირჩევენ, ეს მომავლის საქმეა, მაგრამ გვჯერა და გვეამაყება, რომ ისინი ქვეყნისთვის სასიქადულო მოქალაქეებად ჩამოყალიბდებიან.

წარმატებები მათ.

**ნაირა ბერაია.**



## სიკეთე- სიკეთის წილ...

ამასწინათ თბილისში სამედიცინო კორპორაცია „ევექსმა“ (გენერალური დირექტორი ნიკოლოზ გამყრელიძე, საექთანო დეპარტამენტის დირექტორი თამარ ნეფარიძე) ექთნის საერთაშორისო დღე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში აღნიშნა.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ქვეყნის ყველა სამედიცინო დაწესებულების მედპერსონალი, რომელთაც ჰქონდათ 45 წლიანი მუშაობის სტაჟი, გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით.

ხობის მუნიციპალიტეტიდან ღონისძიებას 15 ექთანი ესწრებოდა. მათ შორის იყო სამეანო განყოფილების ბებია ქალი მთვარისა ნადარაია-კაკულია, რომელიც ნომინაციაში „უხუცესი ექთანი“ განსაკუთრებული პროფესიული წვლილისთვის, ექთნის ორდენით, დაჯილდოვდა. ეს იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა, კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი ყურადღების მიღმა არ რჩება (გამონაკლისი შეიძლება ყველგან იყოს).

გაზეთის თანამშრომლები დავუკავშირდით მას, მოვიწვიეთ და საუბარში გამოიკვეთა მისი ცხოვრების ლამაზი შტრიხები...

მინდა იმთავითვე გითხრათ, ქალბატონ მთვარისას სხვათაგან გამოარჩევს ის თვისებები, რაც მედიცინის მუშაკისთვის, ცოდნასთან ერთად, აუცილებელია–ადამიანების მიმართ განსაკუთრებული სითბო და სიყვარული.

ახლაც სიამოვნებით იხსენებს იმ წლებს, როცა თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული ხობის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, ნეტარხსენებულმა ამბროსი დგებუაძემ სამსახურში მიიღო და ცნობილ გინეკოლოგს ნადია დანელიას „ჩააბარა“.

პირველი ნაბიჯები ფეხბედნიერი გამოდგა... ღიმილისმომგვრელია შემთხვევით მარტო დარჩენილმა როგორ მიიღო პირველი მშობიარე, შეშინებულს და გამოუცდელს თურმე თავად ამშვიდებდა საჯიჯაოელი მეოთხე შვილის მომლოდინე დედა–ნუ გეშინია, იყოჩაღე, გადამარჩინეო და რამდენად დიდი იყო პირველი სიცოცხლის დაბადებით გამოწვეული სიხარულის განცდა (ეს ბიჭი დღეს საავადმყოფოს თანამშრომელია).

გამოცდილ ექიმებთან მერი რეკვავასთან და მანანა ქორიძესთან დაებედა მუშაობა. ამჟამად კლარა ქირიასთან მუშაობა უდიდესი პასუხისმგებლობა და სიამოვნებააო–გვითხრა.

მას შემდეგ 47 წელიწადი გასულა...

ცხოვრება არავის ანებივრებს, მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილს ჭირიც და ლხინიც ბევრი ჰქონია, თუნდაც სამსახურებრივი... მაგრამ დაბნეული და შეშინებული არავის უნახავს. სევდიანი თვალებიც კი უბრწყინავს, სითბოს და სიყვარულს ყველას უნაწილებს. მისი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა ამოუთქმელი ტკივილით, უნაპირო სიხარულით, ცრემლით და ღიმილით, სიცოცხლისა და სიკეთის საგალობლებით.

ქალ-ვაჟის დედას 4 შვილიშვილი ახარებს, მეუღლე მურთაზ კაკულიასთან ერთად ლამაზად უძღვება ოჯახსაც და კეთილსინდისიერი, დაუზარელი და იმედისმომცემი თანამშრომელია.




მისი ცხოვრების გზა ახალი სიცოცხლის დაბადების პირველხილვასთან არის დაკავშირებული, თავადაც სიცოცხლით სავსე ამიტომაცაა ალბათ. ახლა კი „ექთნის ორდენით“ დაჯილდოებული დედა და ბებია გავლილი ცხოვრების საზღაურად სიყვარულს იმკის სიყვარულის წილ, სიკეთეს–სიკეთის წილ.



გაზეთ „ხობის მოამბეს“ სახელით მინდა, როგორც ახლობელს, მივულოცო ეს ჯილდო, ვუსურვო, უფალმა გააძლიეროს და არ მოაკლოს ახალი სიცოცხლის დაბადების პირველხილვის სიხარული, ჩვენ კი ის სითბო, რასაც ყოველი შეხვედრის შემდეგ გვიტოვებს.

**მერი ლაგვილავა.**

# მაისი–არტერიული წნევის გაზომვის მსოფლიო თვე

***ყოველი წლის მაისის თვე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიჩნეულია არტერიული წნევის გაზომვების თვედ.***

***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უერთდება ამ ინიციატივას და მოუწოდებს მუნიციპალიტეტის ყველა სამედიცინო დაწესებულებას მთელი თვის განმავლობაში განახორციელონ შესაბამისი აქტივობები. ამ თემაზე ვესაუბრეთ მუნიციპალიტეტის ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ექიმ პროფილაქტიკოს ჯუმბერ ტურავას.***

***ჰიპერტენზია: რა არის და როგორ ვებრძოლოთ მას?***

–სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი დღეს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებია, მათ შორის გულის იშემიური დაავადებები, ინსულტები და სხვა. მის გავრცელებას ხელს უწყობს მრავალი რისკ-ფაქტორი, მათ შორის წამყვანი ადგილი არტერიულ ჰიპერტენზიას უკავია.

არტერიული ჰიპერტენზია მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა, სწორედ ამიტომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ყოველი წლის მაისის თვე მიჩნეულია არტერიული წნევის გაზომვების თვედ. ხოლო 17 მაისი არტერიული ჰიპერტენზის პრევენციის მსოფლიო დღედ. მიზანი არის სამედიცინო დაწესებულებების პერსონალის მიერ ჩატარდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის არტერიული წნევის გაზომვა და გამოვლინდეს ახალი შემთხვევები, ასევე ამაღლდეს მოსახლეობის ცნობიერება და ინფორმირებულობა.

***მაინც რა არის არტერიული წნევა?***

–არტერიული წნევა ძალაა, რომლითაც სისხლი სისხლძარღვებს ეჯახება, როცა ეს ძალა მეტისმეტად დიდია, გულს გაძლიერებული მუშაობა უხდება, რაც სისხლძარღვებს აზიანებს და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობის განვითარების რისკს წარმოშობს. საშიშროება ემუქრება ყველა ორგანოს, რომლამდეც სისხლძარღვი მიდის, ესე იგი, ფაქტიურად მთელ ორგანიზმს.

სიფრთხილე მართებს ქრონიკული დაავადებით ავადმყოფ ადამიანებს, ასევე ჰიპერტენზიის განვითარების ალბათობა 55 წლიდან იმატებს, თუმცა უფრო და უფრო ახალგაზრდავდება. 55 წლამდე დაავადება მამაკაცებთან უფრო გვხვდება, 55 წლის შემდეგ კი ქალებთან ჭარბობს. მათთან, ვისაც მაღალი წნევის ოჯახური ისტორია აქვს, ჰიპერტენზიის ჩამოყალიბების ალბათობა მეტია. ზედმეტი კილოგრამები სხვა პრობლემებთან ერთად წნევის მომატებას იწვევს. მაღალი წნევა ჭარბწონიანთა ნახევარს აწუხებს. ნორმალური წონის მქონე პირებში არტერიული ჰიპერტენზიით ავადობა ხუთჯერ უფრო იშვიათია. დიდი რაოდენობით მარილის და მცირე რაოდენობით კალიუმის მიღება წნევის მატებას უწყობს ხელს. წნევაზე გავლენას ახდენს ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, თამბაქოს მოწევა. უმოძრაობა, მცირე ფიზიკური დატვირთვა ხელს უწყობს ჭარბი წონის განვითარებას, ეს კი წნევის ჩამოყალიბების საწინდარია.

***როგორ აღმოვაჩინოთ არტერიული ჰიპერტენზიის არსებობა?***

არტერიულ ჰიპერტენზიას ჩუმ მკვლელს უწოდებენ, რადგან ბევრი ისე ატარებს მაღალ წნევას, რომ არც კი იცის ამის შესახებ. წნევის სიმპტომები მანამდე არ იჩენს თავს, სანამ ორგანიზმს ზიანი არ მიადგება. საწყის ეტაპზე კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე ჰიპერტენზიის აღმოჩენის ერთადერთი საშუალება წნევის გაზომვაა, განსაზღვრული პერიოდულობით გვაწუხებს თუ არა რამე.

***რაზე მეტყველებს ციფრები?***

–არტერიული წნევის მაჩვენებელი ორ რიცხვს მოიცავს, ორივე მათგანი მნიშვნელოვანია, უფრო დიდი რიცხვი შეესაბამება წნევას, რომელიც გულის შეკუმშვისას ვითარდება–სისტოლურს უფრო პატარას კი გულის მოდუნების შედეგად განვითარებულს, დიასტოლურს უწოდებენ. ნორმად მიიჩნევა არტერიული წნევა 120/80 ზე, ხოლო 140/90-ზე წნევა კი არტერიული ჰიპეტრენზიის პირველი სტადიაა.

***როგორ ვლინდება არტერიული ჰიპერტენზია?***

–არტერიული ჰიპერტენზიაზე მიუთითებს თავის ტკივილი, ძილიანობა, გულის ფრიალი, მხედველობის დაბინდვა, დაღლილობა, თავბრუხვევა, სუნთქვის გაძნელება, გული რიტმის დარღვევა, სმენის პრობლემები.

***რა გართულებები ახასიათებს?***

–ნებაზე მიშვებული არტერიული ჰიპერტენზია მძიმე გართულებებს იწვევს, ამ გართულებებმა კი შეიძლება ადამიანის სიკვდილი გამოიწვიოს.

არტერიული ჰიპერტენზიის შესაძლო გართულებებია: გულის შეტევა, გულის უკმარისობა, ინსულტი, ანევრიზმა, თირკმლის ქრონიკული დაავადებები, მხედველობის დაზიანება და სხვა.

განასხვავებენ ორი ტიპის ჰიპერტენზიას. პირველადს და მეორეულს, პირველ შემთხვევაში დაავდების მიზეზი დაუდგენელია, მეორეული ჰიპერტენზია კი ეწოდება არტერიული წნევის ისეთ მატებას, რომელიც სხვა ორგანოს ან ორგანოთა სისტემის დაავადების შედეგია. ამ დროს ძირითად დაავადებას უნდა ვუმკურნალოთ.

რაც შეეხება პირველად არტერიულ ჰიპერტენზიას, დღეს მის სამკურნალოდ მრავალი მედიკამენტი არსებობს, ხშირად საჭიროა ორი ან მეტი პრეპარატის კომბინირება დაავადების მკურნალობის რამდენიმე მეთოდი არსებობს, მაგრამ საწყის ეტაპზე საკმარისია პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.

ძალიან კარგია მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სიარული, მეტი მოძრაობა. გავაკონტროლოთ შაქრის შემცველობა, დღეში რამდენჯერმე გაიზომეთ წნევა, თუ ამის საჭიროება არსებობს. უნდა შეამციროთ სუფრის მარილის რაოდენობა, უნდა გაზარდოთ კალიუმის მიღება. მარილის მისაღები დღე-ღამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 6 გრამს. სუფრაზე კერძს არ უნდა დავამატოთ მარილი, რადგან მას ისედაც ვღებულობთ მზა პროდუქტების სახით. სასარგებლოა მიიღოთ მეტი ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, ცხოველური ცხიმი შეცვალეთ მცენარეულით, თეთრი პური ცეხვილით, ერიდეთ კოფეინს, წყურვილის მოსაკლავად სვით წყალი, ალკოჰოლი მიიღეთ მცირე ოდენობით და იშვიათად, თავი დაანებეთ თამბაქოს მოწევას.

ჰიპეტრენზიის კურნალობა არის ორნაირი: არაფარმაკოლოგიური მკურნალობა გულისხმობს წონაში დაკლებას, ალკოჰოლის და ნატრიუმის მიღების შემცირებას 2,3 გრამამდე დღეში, კალიუმის მიღების გაზრდა 3500 მილიგრამზე მეტი დღეში, მოწევის შეწყვეტა, ქოლესტერინის შემცირება, სისხლის წნევა უნდა შენარჩუნდეს 130/80-ის ფარგლებში.

ფარმაკოლოგიური მკურნალობა გულისხმობს საწყის ეტაპზე დიურეტიკებით მკურნალობას, ჰიპერტენზიის მეორე სტადიაზე აუცილებელია ორი პრეპარატის კომბინაცია.

არტერიული ჰიპერტენზიის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებას.

**ესაუბრა**
**ნანი პილასონია.**

## 31 მაისი თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე.

# გაანთავისუფლეთ თამბაქოს კვამლისგან

2017 წლის მაისში პარლამენტმა მიიღო ცვლილებები და დამატებები თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობაში, რომლის შესაბამისად 2018 წლის 1 მაისიდან ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობა-ნაგებობა და ტრანსპორტი უნდა იყოს თამბაქოს კვამლისგან თავისუფალი. კანონის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულება, სადაც ეწევიან თამბაქოს დაჯარიმდება 500 ლარით, განმეორებისას 1000 ლარით. ფიზიკური პირის შემთხვევაში ჯარიმა 50 ლარია, განმეორების შემთხვევაში–100 ლარი.

თამბაქოს მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთ წამყვან მიზეზს წარმოადგენს. მისი მოხმარების შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად 7 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება.

მწეველობა, პასიური მოწევა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. თამბაქოს მოხმარების მაჩვენებლები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის. საქართველოში ყოველწლიურად 11400 ადამიანი იღუპება თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით.

შემაშფოთებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში თამბაქოს მოხმარება საკმაოდ ადრეულ ასაკში იწყება. მოწევის დაწყების საშუალო ასაკი კაცებში 17,7 ხოლო ქალებში 22,4 წელია.

მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს ინდუსტრიას სურს გაავრცელოს მოსაზრება, თითქოს ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობენ ეროვნული ეკონომიკის გაძლიერებას. ნებისმიერ ქვეყანაში თამბაქოთი გამოწვეულ სიკვდილზე და ჯანმრთელობის პრობლემებზე ეკონომიკური დანახარჯის წილი ბევრად მეტია, ვიდრე თამბაქოს ინდუსტრიისგან ბიუჯეტში შემოსული თანხა.

კვლევის თანახმად თამბაქოს კონტროლის 4 პრიორიტეტული მუხლის აღსრულებით: თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრა; საჯარო სივრცეში მოწევის სრულად აკრძალვა; თამბაქოს ნაწარმის რეკლამირების, პოპულარიზაციის და სპონსორობის სრული აკრძალვა; თამბაქოს პროდუქტის შეფუთვა და მარკირება. ამ მუხლების ასრულებით 15 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა თავიდან აიცილებს 53, 100 საქართველოს მოქალაქის გარდაცვალებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიწვევს 171, 300 საქართველოს მოქალაქის გარდაცვალებას ნაადრევად (70 წლამდე) თამბაქოს კონტროლი არის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი საწინდარი. იცოდეთ იგი

–გადაარჩენს ადამიანების სიცოცხლეს;

–შეამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს;

–გააძლიერებს ეკონომიკურ ზრდას;

–შეამცირებს სიღარიბეს;

–ხელს შეუწყობს თანასწორობას;

–გაზრდის შემოსავალს სახელმწიფოსთვის;

–დაიცავს გარემოს.

თამბაქოს მოხმარება გულსისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეული სიკვდილის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. იგი ზრდის არტერიების გამყოფების შევიწროების პროცესს, 2-4 ჯერ იზრდება თრომბების წარმოშობის ალბათობა.

როგორც აქტიურ, ასევე პასიურ მწეველებს, არამწეველებთან შედარებით კიბოს განვითარების მეტი რისკი აქვთ. ეს განსაკუთრებით ეხება ფილტვის, ხორხის, პირის ღრუს კიბოს. რაც უფრო მეტია მოწეული თამბაქოს დღიური რაოდენობა და მოწევის სტაჟი, მით მაღალია ფილტვის კიბოს განვითარების რისკი.

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების ძირითადი გამომწვევია თამბაქოს მოხმარება.

მას უკავშირდება ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების დაახლოებით 7 პროცენტი და ქვედა რესპირატორული ტრაქტის ინფექციებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების დაახლოებით 12 პროცენტი.

–მოწევა იწვევს არტერიული წნევის მომატებას.

–მწეველ წყვილებში, უშვილობის პრობლემა უფრო ხშირია, ვიდრე არამწეველებში

–მოწევა აჩენს ნადებს კბილებსა და ღრძილებზე;

–მოწევა იწვევს გულძმარვას და ხელს უწყობს კუჭის წყლულოვანი დაავადების განვითარებას.

–მოწევა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის გარეგნობაზე, მწეველები არიან უფრო ფერმკრთალები და აქვთ მეტი ნაოჭი.

–მოზარდების ნახევარი, რომლებმაც ადრეულად დაიწყეს თამბაქოს მოწევა, უფრო ხშირად იღუპებიან თამბაქოს მიღებასთან ასოცირებული დაავადებებით.

–ნიკოტინს ადამიანი ისე ეჩვევა, როგორც ნარკოტიკებს. დროთა განმავლობაში ადამიანის ორგანიზმი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დამოკიდებული ხდება.

ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევების თანახმად, თამბაქოს მოხმარებისთვის ელექტრონული სიგარეტის თავის დანებების მიზნით გამოიყენება მცდარი მოსაზრება, პირიქით, იგი ხელს უწყობს თამბაქოს მოხმარების დაწყებას ან ხშირ შემთხვევაში კომბინირებულ მოხმარებას.

თამბაქოს მეორადი კვამლის მავნე ზეგავლენის ქვეშ ყველაზე ხშირად ექცევიან სახლში, რესტორანში (ბარი, კაფე, კლუბი და სხვა) საზოგადოებრივი თავშეყრის დახურულ შენობაში, თუმცა ქალები და ბავშვები თამბაქოს მეორადი კვამლის გავლენას ყველაზე ხშირად ოჯახში განიცდიან. ბავშვთა დაახლოებით 40 პროცენტი იმყოფება თამბაქოს მეორადი კვამლის მავნე ზემოქმედების ქვეშ დახურულ სივრცეში. პასიური მოწევა იწვევს გულსისხლძარღვთა და რესპირაციული სისტემის სერიოზულ დაავადებებს,



მეორადი კვამლისგან მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების ერთადერთი გზაა თამბაქოს კვამლისგან 100 პროცენტით თავისუფალი გარემოს შექმნა.

თამბაქოს მოწევა ადამიანს არ ხდის თავისუფალს, დამოუკიდებელს, არ ხსნის სტრესს და სასოწარკვეთილებას. მწეველობა არის მავნე არაპრესტიჟული ჩვევა.

მშობლებმა შვილებს უნდა მიაწოდონ სწორი ინფორმაცია მწეველობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, რათა დაიცვან ისინი ამ მავნე ჩვევებისგან. მწეველობის მავნებლობაზე ბავშვებს უნდა ესაუბროს ორივე მშობელი, მიუხედავად იმისა, მშობლები არიან თუ არა მწეველები.

ყველაზე კარგია მშობელი არ ეწეოდეს ან შეწყვიტოს! უთხარით თქვენს შვილებს მხოლოდ სიმართლე.

***ჯუმბერ ტურავა,***

***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.***



*ნინო კემულარია არჩეულია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, გამოცემული აქვს ლექსების სამი კრებული: „თოვლი უშენოდ“, „ასი ლექსი“, „მახარია“. პოეზიასთან ერთად წილნაყარია პროზაშიც... არის გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის 2015 წლის პრემიის ლაურეატი.*

*ქართულ ლიტერატურულ წრეებში კარგად იცნობენ მის ლექსებს და ხშირად იწვევენ პოეზიის საღამოებზე, ტელევიზიებში.*

*მას ჩვენი გაზეთის რედაქციამ დაულოცა გზა დიდი პოეზიისკენ და ჯერაც სკოლის მოსწავლეს პირველი ლექსები დაუბეჭდა...*

*ამ დღეებში ნინოს დაბადების დღე იყო. ვულოცავთ, შემოქმედებით წინსვლას, ულევ სიხარულს და მზეგრძელობას ვუსურვებთ.*

*ვბეჭდავთ მისი ახალი ლექსებიდან რამდენიმეს.*

## საქართველოს!

საქართველოს დაქქქილ გულს
სისხლი სცვივა მეფეთა,
მტერს კარებთან ჯარი დროშით
ყიქინა ხმით ევვეთა,
ჩვილთა ციცილს ვერ აჩუმებს
დედის ძუძუს ცივი რძე,
ნაცყვიარი დედის კვნესა
სიმღერებად დაბძერწე,
აკვანს „ნანა“ დაიცრემლა, მამა
ემრძვის დედის მკვლელს,
კერა ფერფლად ჩამოიქცა, მკლავი
მოჭრეს ჩანგის მთლელს...
აჩეხილი ვენახების ცრემლი ცირის
ვაზისა,
ფესვებს ჭია შესეულა, ცრემლი
ურწყავს ლაზისა...
გაყიდული მიწა დღესაც
ურჯულოთა ბაღია,
აფხაზეთი, სამაჩაბლო
საქართველოს თაღია...
ღმერთო, მტერმა უძინარმა როგორ
არივ-დარია, წმინდა კალთა დაათარე,
ღვთისმშობელო მარიამ...
საქართველოს მცკივან გულზე ძინავს
ჩვილის ობლის ცრემლს,
მთის წვერიდან ხმები მესმის,
გამარჯვების გული ცემს...
საავაძის ჯარი უცევს, მარაბდის
ველს ცხრა ძმა წევს,
სამყოფელი მზე მამულის ნაწილ,
ნაწილ გადაწვეს...
ქეთევანი დაშანთული სახით
მიმზერს ფრესკიდან,
მჯერა მალე რომ ამოვალთ
ჯოჯოხეთის ფსკერიდან...
ზვიადის და მერაბის გზას
შინდისფერი მზე დაჰკრავს,
თავისუფალ საქართველოს მზის
სიცოცხლე გარს აკრავს...

* * *

ჩრდილებთან თამაშით სრულდება
თამაში,
გავარღვევ ჩრდილების ნარნარა დარაბებს,
გულ-მკერდზე გაშოლცილ დარდებით
დავდივარ,
თითქოს ეს ცხოვრება ცვილა დარდს
მაღარებს...
თაფლისფერ თვალებში გაზაფხულს
ვუღიმი,
აშოლცილ მზერაში ცას ვწვდები მეშვიდეს,
მაისის ღიმილით მოფენილ სახეზე,
ეგ შენი მზის სითბო, დაბნეულს
მამშვიდებს...
ვერხვების ცოცვებზე დამსხდარან მუზები,
კვირცების დახეთქვით ხმაურობს
სოფელი,
მთვარიან საღამოს როცა გზა ანათებს,
სოცოცხლით ხალისობს აქ თითქმის
ყოველი.
ჩრდილებთან თამაშით დაღლილი
მივდივარ,
მაისის ღიმილი დამყვება ლექსებად,
და დღემდე ლოდინის წვალებად მიღირდა,
ამ ერთი სიცოცხლის დაალერსებად.

## შიოლას დავარქმევ...

მინდორზე ანათებს წლების სიკაშკაზე,
და ხელთ დაჭერილი გამექცა
ბავშვობა,
გვირილებს მიკრეფდა „კიციას
ნოხორზე„
ვიღაცა ბიჭი და მას შემდეგ დამშორდა.
სახელი არ მახსოვს, ფერდობზე
გავცქერი,
ველი, როგორც ომიდან ელიან
საცრფოს,
ალბათ, ყვავილების სინაზემ
წამართვა,
მხოლოდ მოგონებებად დარჩენილს
მაცკბობს...
ვიკერავ ივნისის ქსოვილის კაბას და,
ზღაპრებში კვლავ წავალ, დავიპყრობ
სასახლეს,
ეს გული ისეთი უხეში გამიხდა,
მასთან არავის, არავის ასახლებს...
სახელი არ მახსოვს, შორით ვერ
ვებახი,
თვალებით თუ ვუმზერ იმედებს
დაკარგულს,
ფუფალას წავართმევ ოცნების
სახელს და,
შიოლას დავარქმევ ჩემს უცნობ
სიყვარულს...

## ზაფხული...

მოვიდა ჩემი დრო სოფელთან
შეხვედრის,
მდინარე კვლავ გაშლის სიგრილის
მარაოს,
ნაპირთან ხმა წვდება ივნისის
სიმღერის,
და ღამის ექოს ხმამ სამყარო
დაფაროს...
ვდგავარ მთის მწვერვალზე,
ზეცასთან ახლოს ვარ,
ჩიცები ცისკარზე ხაზავენ ირაოს,
მომძახის ფიქრები ურითმო
ლექსივით,
ფეხი არ დაგიცდეს, უფრთხილდი
ციაო...
და მე სხვას არ ვჩივი, არ ვდარდობ
არაფერს,
როცა მზის გულმა გამითბო
მინდორი,
ღრუბლებში ჩაფლული ხმაური
დაიმსხვრა
და ზაფხულს გაშორდა სევდათა
მინორი...

## სადაც მზეს ცივა
### (დედის საფლავთან)

თოვლის სუდარა ეფინა გულზე,
თებერვლის სუსხი წიწკნიდა
ზამთარს,
ვათბობდი საფლავს ხელის
გულებით,
ოცნება ცაში მიქროდა ლამპარს.
მონაცრებები სვამდნენ
მწუხრვალნი
ღვინოს და ჭიქას, ჭიქაზე ცლიდნენ,
კვლავ ჩამკიოდნენ ეშმები ყურთან,
ცვივილშეჩვეულს კვლავ და კვლავ
მცდიდნენ.
დედის ცხოვრება სურათზე დარჩა,
ბუხარს კი შეშის შავი ნახშირი,
სიცარიელე ავსებდა ოთახს,
თმებში კვდებოდა ჭაღარა ხშირი.
სიმარცხვე რომ კუბოს მიმზადებს,
რის საფასურად მერგო ვიცოდე,
ჩემი ბოლოა სადაც მზეს ცივა,
სადაც არასდროს მოვა სიცოცხლე....

## მხატვარო!..

პალიცრის სამანზე სახდება ფერები,
პორცრეცი-ჩემი ცხოვრების სახაცე...
ფუნჯებში ჩამალულ ხასიათს
განდობ და
მხაცვარო, ცილოზე ცრემლისფრად
დამხაცე.
სარდაფის უმზეო, სინესცის წუხილის
გაფითრებული დღეთა უფერო,
გაათეთრე, სონეცურ სიცოცხლის
წუთს
ცილოდან ნათელი თვალებით
ვეფერო...
და შავი ფანქრებით კონცური
მოავლე,
თხუპნია საღებავს მუდამ ნუ ენდობი,
ფანჯრიდან ისედაც მოსულა აპრილი,
ვხედავ რომ შროშანით მოსილა
ფერდობი.
„მწუხარე უსახსრულო“ ვით ჩემი
ბედი,
ვან გოგის მოჭრილი ყურივით
მეწერა,
და მზესუმზირის სიყვითლის ციალში,
ციმციმებს შეშლილივით ღამით
ვენერა...
ხელისკანკალით რომ ქმნი შედევრებს,
ყველაფერს ნიღაბი ფერებით ახადე,
პალიცრის სამანზე აიღე ფანქარი
და ჩემი პორცრეცი ცრემლებით
დახაცე...

## ტერენტი გრანელს

შუა ზამთარია, მკაცრი ხასიათის,
კარებთან ალბათ გიცდის ზოზია,
ციდან მიწას რომ დაჰყურებს მთვარე
მშვიდად –
ფიქრი სიკვდილზე რაღა დროსია...
იცი, წალენჯიხის ღამე ვერ ისვენებს,
გაზაფხულის ჩაუცვია ჩითი,
გაზაფხული იგვიანებს,მაგრამ მაინც,
„ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიცი“
შენი ქუჩის განაპირა მხარეს, იქვე
ჭანისწყალში ჩახცა ეჭვის მზერა,
ქარი შეწვდა სიკვდილს თმების ნაწნავს,
მისეულად მაინც დაამღერა...
კართან თავშალ მოხურული უცდის
ლოდინს,
ფიქრთან მუსაიფობს ზოზია,
შუქი მოფენილა ოდას აივანზე,
ყოფნა სიკვდილთან რაღა დროსია...
ახლა ზამთარია თოვლის გარეშე და,
თავზე ცამ წაიკრა ლურჯი ჩითი,
სწორედ ისე გადაფრინდა გაზაფხულზე-
როგორც წეღან ხიდან ხეზე ჩიცი...

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.